ოქმი:**ო02. 3724235001**

თარიღი:**22/08/2024**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2024 წელი, 21 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

13.30-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ლ. კილაძე, ტ. აროშიძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, ბ. ქათამაძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების და გატანის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: თეიმურაზ ქინქლაძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკი 2-ის ტერიტორიაზე(ს.კ. 26.35.02.088) ტურისტულ-დასასვენებელი სარეკრიაციო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

კომისიის თავმჯდომარემ, ბ.თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სამართლებრივი აქტის პროექტი. ვრცლად მასზე ისაბრა თანამომხსნებელმა გ. ჩაგანავამ, რომელმაც აღნიშნა-ბიუჯეტი იზრდება 4.358 ათასი ლარით,შემდეგ კონკრეტულად დაასახელა მთავრობის ის გადაწყვეტილებები, რომლის შესაბამისადაც გამოყოფილი იქნა დამატებითი ასიგნებები, ისაუბრა საკუთარი შემოსავლებით მიღებულ ზრდაზე, მუხლებს შორის თანხების ცვლილებებზე, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში,

კომისიის წევრმა ბ. ქათამაძემ დასვა შეკითხვა- რატომ მცირდება ონკოდაავადებულთა ხარჯები 50 ათასი ლარით? განუმარტეს, რომ მუხლში დარჩა გაუხარჯავი თანხა, რომელიც გადანაცვლდება სხვა მუხლში, საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი დაბრუნება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა- პროექტი მიანიშნებს, რომ შემოსავლები ბიუჯეტში იზრდება უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე ეს იყო დაგეგმილი მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის. ამასთან პროგნოზული გათვლებით დასტურდება წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის მოცულობამ გადააჭარბოს 80-მილიონ ლარს, რაც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ზრდაზე მიგვანიშნებს.

კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებენ მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე ვეტერანებისთვის შეღავათებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტების საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წრდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, კონკრეტული ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ქინქლაძემ, აღნიშნა, რომ ნარჩენების რაოდენობამ მუნიციპალიტეტში მიაღწია 15 ათას ტონას, დასუფთავებაში დასაქმებულია 150 კაცამდე, მოსაკრებლების ამოღებაში დაინერგა ელექტრონული შეტყობინებების მეთოდი, გაფორმებულია 22 ათასი ხელეკრულება, დღეისათვის ამოღებულია მოსაკრებელი 200 ათასი ლარის ოდენობით, საჭიროა დამატებით 500 ურნის შეძენა. კომისიის წევრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ აუცილებელია ნარჩენების გადამუშავებაზე ზრუნვა, განუმარტეს, რომ სამსახურმა უკვე გადაწყვიტა პლასტმასის ნარჩენების შეგროვების და დაწნეხვის საკითხი, მალე შეგროვებულ მასალას გაიტანენ აუქციონზე გასაყიდად. ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა შენდება ცეცხლაურის ტერიტორიაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, ინფორმაცია მიიღეს ცნობად და გადაწყვტეს მისი საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენა მოსასმენად.

კომისიის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, შ.პ.ს „მოდეა ციტრუსის“ წარმომადგენელმა მამია მახარაძემ განცხადებით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე-წვერმაღალაში 9 ჰექტარი ფართობის ტურისტულ-დასასვენებელი კომპლექსის ასაშენებლად თანხმობის მიღების შესახებ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს ამ საკითხზე და გადაწყვიტეს დამატებითი შესწავლის შემდეგ, საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომას წარედგინოს დასკვნა საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენის მიზანშეწონილობის თაობაზე.

კომისიის წევრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ კომისიამ მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის კუთხით.

გადაწყვიტეს:

1.სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1 საკითხი წარდგენოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.
2. N2 საკითხი, მირებულ იქნას ცნობად, წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას მოსმენისა და ცნობად მიღების მიზნით.
3. N3 საკითხი დამატებითი შესწავლის შემდეგ წარედგინოს საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენის მიზანშეწონილობის განსაზღვრის მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი